# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
## საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72


N 155 14/06/2016

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის გაწეული მუშაობის ანგარიში**

2016 წლის 13 მაისიდან 15 ივნისამდე კომისიამ ჩაატარა 3 სხდომა და განიხილა 3 საკითხი:

1) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების შესრულების წლიური ანგარიშის სტანდარტული ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების შესახებ.
2) „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

3) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის 5 თვის მდგომარეობის შესახებ.

პირველ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის მიერ მოწონებულ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციის- „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ მიერ წარმოდგენილი სამართლებლივი აქტის პროექტი და მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცა რეკომენდაცია მისი დამტკიცების შესახებ;

მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიას მიკუთვნებულ უფლებამოსილების ფარგლებში გამოტანილ იქნა და საკრებულოს წარედგინა დასკვნა, რომლის თანახმადაც გამგეობის მიერ შემოთავაზებული ბიუჯეტის ცვლილების პროექტი დამტკიცებულ იქნა საკრებულოს სხდომაზე;

მესამე საკითხთან დაკავშირებით, კომისიამ მოისმინა მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსის ინფორმაცია. აღინიშნა რომ, გამგებელს ძირითადად არსებული კანონმდებლობის შესაბამისად აქვს განკარგული გეგმით გათვალისწინებული თანხები.

კომისიამ ინფორმაცია მიიღო ცნობად.

გელა ჩავლეშვილი

კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია